

**ჰაროლდ პინტერი**

ინგლისურიდან თარგმნა – თამარ ჯაფარიძემ

/ახმეტელის თეატრისათვის/

ღალატი

(ექვნიება საიმონ გრეის)

**მოქმედი პირები:**

ემა

ჯერი

რობერტი

1977 წელს ემა უკვე 38 წლისაა, ჯერი და რობერტი – 40

პიესა, შესაძლოა, ერთ მოქმედებად დაიდგას ანდა მცირედი ანტრაქტით მე-4 სურათის შემდეგ.

1977 წელი

სურათი I

ლუდხანა. 1977 წლის გაზაფხული.

შუადღე.

ემა კუთხის მაგიდას უზის; მას ჯერი უახლოვდება კათხა ლუდით თავისთვის და ჭიქა ღვინით მისთვის; ჯდება.

ქალი და კაცი ერთმანეთს გაუღიმიებენ, ჭიქებს მიუჭახუნებენ და მოსვამენ.

ჯერი სკამზე გადაწვება და ემას მიაჩერდება.

ჯერი – ესეც ასევე... / კათხას იღებს/ გაგვიმარჯოს! სვამს

ემა – /ლუდხანას თვალს მოავლებს და მზერას ჯერიზე შეაჩერებს/

აქ ყველაფერი ისევ ისეა, ძველებურად.

ჯერი – ისე, კაი დრო კი გავიდა, არა?

ემა – საკმაოდ

ჯერი – და სხვა – როგორა ხარ, რას შვრები?

ემა – ვცოცხლობ /პაუზა/

თუ იცი, რამდენი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს?

ჯერი – ბოლოს, მგონი იმ დახურულ ჩვენებაზე შევხვდით, არა?

მოიცა, მოიცა... როდის იყო?

ემა – არა, მაგას არ ვგულისხმობ.

ჯერი – ააა, შენ მეკითხები ბოლოს ერთად როდის... ვიყავით?

ემა – ორი წლის წინ.

ჯერი – /პაუზა/ მთელი საუკუნე გასულა

ემა – ჰო, /პაუზა/

ჯერი – და შენი საქმეები როგორაა? გალერეა რას შერება?

ემა – უი, მართლა – ჩემ გალერეაზე რა აზრის ხარ? მოგწონს?

ჯერი – კი, კარგი გალერეაა... მე ვიტყვოდი – მშვენიერიც!

ემა – კარგია თუ მართლა ასე ფიქრობ, იმიტომ რომ მართლაც კარგია.

ყოველ შემთხვევაში, მე ძალიან კმაყოფილი ვარ.

ჯერი – /პაუზა/ – რობერტი როგორაა?

ემა – ბოლოს როდის ნახე?

ჯერი – უჰ! თვეებია არ მინახავს... არც კი ვიცი, რატომ... და რა იყო?

ემა – რა – რა იყო?

ჯერი – რატომ მეკითხები – მეტქი

ემა – ისე... შენი ბიჭი როგორაა?

ჯერი – ალბათ, შენი ცოლი როგორ არისო, ეგ უნდა გეკითხა

ემა – მართლა? რატომ?

ჯერი – ჩვენი ტრადიცია აღარ გახსოვს? მე შენი ქმარი უნდა მოვიკითხო, შენ – ჩემი ცოლი.

ემა – ჰო, გამახსენდა... მართლა, ჯუღითი როგორაა?

ჯერი – გმადლობთ, კარგად.

/პაუზა/

ემა – სემი უკვე დიდი ბიჭი იქნება.

ჯერი – ნამდვილი ვაჟკაცია. გრძელ დისტანციებზე დარბის და ზოოლოგობაზე ოცნებობს.

ემა – ვინა, სემი?! რა კარგია!... და სარა როგორაა?

ჯერი – უკვე ათის გახდა.

ემა – არ გამაგიჟო!... თუმცა, ჰო, ეგრე უნდა იყოს.

/პაუზა/

ჯერი – ეგრეც არის

/პაუზა/

და ნედი უკვე ხუთისაა, არა?

ემა – ნუთუ გახსოვს?

ჯერი – მაგას რა დამავიწყებს?!

/პაუზა/

ემა – მართალია... /პაუზა/

ზოგჯერ მაინც ფიქრობ ხოლმე ჩემზე?

ჯერი – ხოლმე, ხოლმე... მაგრამ – ზოგჯერ!

/პაუზა/

ამას წინათ შენი გოგო ვნახე.

ემა – არ გადამრიო, მართლა? სად? წარმოგიდგენია, კი არ უთქვამს!

ჯერი – არა, იმან ვერ დამინახა. ქუჩაში მოგკარი თვალი.

ემა – კი, მაგრამ... როგორ იცანი?

ჯერი – შენ წარმოიდგინე ვიცანი

ემა – მერე? მოგეწონა?

ჯერი – პირწავარდნილი დედიკოა.

ემა – არა, მართლა – როგორი გოგო დადგა?

ჯერი – არაჩვეულებრივი! ზუსტად ეგრე გავიფიქრე – რა გოგოა – მეთქი.

ემა – უკვე ცამეტი წლისაა, წარმოგიდგენია?!

/პაუზა/

ერთხელ, გახსოვს?... დმერთო, როგორ ყველაფერი ... გახსოვს, ხელში რომ აიტაცე, მაღლა შეაგდე და დაიჭირე?

ჯერი – ჰო, მაშინ ბუმბულივით იყო.

ემა – იმასაც ახსოვს

ჯერი – კარგი ერთი!

ემა – არა... მაღლა რომ შეაგდეს, ეგ ახსოვს.

ჯერი – /პაუზა/ და... ჩვენი ამბავი თუ იცის? ...

ემა – რა თქმა უნდა, არა! ... უბრალოდ ახსოვხარ, როგორც ოჯახის მეგობარი.

ჯერი – გასაგებია

/პაუზა/

ეგ დღე მშვენივრად მახსოვს. ყველა ერთად ვიყავით – შენი ქმარი, ჩემი ცოლი და ჩვენი შვილები.

ემა – რომელ დღეზე ამბობ?

ჯერი – აი, შარლოტა რომ შევაგდე თქვენს სამზარეულოში

ემა – არა, – თქვენი სამზარეულო იყო...

/ხანგრძლივი პაუზა/

ჯერი – ემა, ჩემო... საყვარელო

ემა – მაგ სიტყვას ნუ მეუბნები, გთხოვ!

/პაუზა/

ჯერი – თითოც დავლიოთ

/დაცლილი სასმისებით დახლისკენ მიემართება; ემა უძრავად ზის; ჯერი ბრუნდება, სასმელებს მაგიდაზე აწყოფს და ჯდება/

ემა – ამას წინათ გამახსენდი... /პაუზა/

კილბერნში ამოყვავი თავი და... რომ გავიაზრე სადაც ვიყავი, მანქანა შევაჩერე... ჩვენი სახლიდან 50 მეტრში გავჩერდი... სულ ასე ვაკეთებდი ხოლმე, გახსოვს?

ჯერი – ჰო.

ემა – სახლიდან ვიღაცეები გამოვიდნენ

ჯერი – ვინ ვიღაცეები?

ემა – რა ვიცი, ვიღაცეები... მანქანიდან გადმოვედი და სადარბაზოში შევედი, გვარების კითხვა დავიწყე; ... ჩვენს გვარს ვეძებდი /პაუზა/

ჯერი – გრინი /პაუზა/ ვერ იპოვიდი.

ემა – ვერც ვიპოვე.

ჯერი – იმიტომ, რომ იქ აღარა ვართ.

ემა – ჰო, დიდი ხანია... /პაუზა/

ჯერი – შენზე მითხრეს, ზოგჯერ კეისის ხვდებაო

ემა – რა თქვი?

ჯერი – კეისის-მეთქი... უბრალოდ, ყური მოვკარი, რომ შენ... მოკლედ, დროდადრო კეისის ხვდებაო.

ემა – ვინ გითხრა?

ჯერი – რა ვიცი, ათასი მოცლილია... ჭორების ბუდეში ვცხოვრობთ.

ემა – ღმერთო ჩემო!

ჯერი – ყველაზე უცნაური იცი რა არის? რომ მითხრეს, ძალიან გავლიზიანდი, მეტი არაფერი... გავლიზიანდი, რომ ჩვენი ამბავი არ იცოდნენ... გეფიცები, თავი ძლივს შევიკავე, რომ არ მეყვირა – რა მოხდა მერე თუ ერთ-ორჯერ კეისისთან ერთად ბარში დაინახეთ?! აი, ჩვენ შვიდი წელი გვიყვარდა ერთმანეთი და თქვენნაირ ნაბიჯვრებს ამაზე წარმოდგენაც კი არა ჰქონდათ – მეთქი.

ემა – ისე, რა საინტერესოა, შეიძლება ყველამ იცოდა ჩვენი ამბავი.

ჯერი – არ არსებობს!... ჩვენ ძალიან მაგრები ვიყავით.

მართლა, კეისისთან რა საერთო გაქვს?

ემა – რას გულისხმობ?

ჯერი – რა ხდება თქვენს შორის?

ემა – ერთი-ორჯერ ბარში შევიარეთ.

ჯერი – მგონი, მაგის წიგნებით დიდად აღფრთოვანებული არ იყავი.

ემა – აზრი ვიცვალე... ან მაგის წიგნები შეიცვალა, ვერ გეტყვი... რა იყო, ეჭვიანობა?

ჯერი – ვისზე? /პაუზა/

ეგლა მაკლია, პეისიზე ვიეჭვიანო! მე ხომ მაგის ლიტერატურული აგენტი ვარ... ცოლს რომ ეყრებოდა, ჭკუას მე მეკითხებოდა; მის შავ ხელნაწერებს პირველი მე ვკითხულობ... შენი ქმარიც მე დავიყოლიე მაგის პირველი რომანის გამოცემაზე. სტუდენტთა საზოგადოების შეკრებებზე, ოქსფორდში, ისე ვერ წავა, მე თუ არ გაყევი... მოკლედ, ჩემი გამოტყვევებულობა, მე ვშობე, მე აღმოვაჩინე, როცა ჯერ კიდევ გიუპოეტობდა... ეშმაკმა იცის როდის იყო ეგ. /პაუზა/ ასე რომ, ჩემო კარგო, მაგაზე ეჭვიანობა ძალიან გამიჭირდება... ანდა რატომ უნდა ვიეჭვიანო? ჩვენს შორის ხომ ყველაფერი დამთავრდა... ჰოდა, თუ შენ მაგასთან კარგადა ხარ, დმერთმა ხელი მოგიმართოს!... ძალიანაც მიხარია! /პაუზა/

შენ ეს მითხარი, რობერტი როგორაა?

ემა – იცი, მე და რობერტი ... ალბათ გავიყრებით...

ჯერი – რაო?!

ემა – ჰო... გრძლად ვისაუბრეთ... წუხელ და...

ჯერი – წუხელ? ღამით?!

ემა – წარმოგიდგენია, რა გავიგე... წუხელ? თურმე წლების მანძილზე მღალატობდა! ... მთელი ეს წლები სხვა ქალები ჰყოლია!

ჯერი – კარგი ერთი, არა მჯერა! /პაუზა/

ეს ჩვენ ვატყუებდით რობერტს წლების მანძილზე.

ემა – ჰოდა, თურმე ისიც მატყუებდა.

ჯერი – ნამდვილად არ ვიცოდი.

ემა – არც მე. /პაუზა/

ჯერი – და როდის გითხრა ეგ ამბავი?

ემა – წუხელ... მგონი, საერთოდ არ დავწოლილვართ მთელი ღამე /პაუზა/

ჯერი – მთელი ღამე ილაპარაკეთ?

ემა – ჰო, თავზე დაგვათენდა. /პაუზა/

ჯერი – ჩემზე ხომ არაფერი უთქვამს?

ემა – რაა?

ჯერი – არა, უბრალოდ...

ემა – არა, უბრალოდ, ავიღე და დაგირეკე დილით... ისე დაგირეკე, როგორც ძველ მეგობარს... მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს... მერე რომ გათენდა და ყველაფერი მორჩა... უცებ, შენი ნახვა მომიინდა ძალიან.

ჯერი – ჰოდა, ძალიან კარგი რომ მოგინდა, აბა რა... მეც ძალიან მიხარია შენი ნახვა... ძალიან მწყდება გული, რომ... აი, ასე...

ემ ა– მართლა?... მაშ, ყველაფერი გახსოვს? ნამდვილად გახსოვს?



/პაუზა/

ემა – მაშინ საკმაოდ გიჭირდა იმ ბინის ქირის გადახდა არა?

ჯერი – როცა გიყვარს, ასეთი რამეები არ გენაღვლება.

ემა – ფარდები მე ვიყიდე.

ჯერი – აი, ხომ ხელაგ არც შენ გენაღვლებოდა.

ემა – იცი, იმიტომ არ დამირეკავს, რომ მოგონებებში გადავვარდი...არა, ნამდვილად არა... გახსენებას, საერთოდ, რა აზრი აქვს?...

უბრალოდ შეხმიანება მომიხდა... მაინტერესებდა როგორ ხარ...

ჰოდა, მართალი მითხარი – როგორ ხარ? ოღონდ გულწრფელად!

როგორ ხარ, ჯერი?

ჯერი – ამას ახლა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს! /პაუზა/

მაშ რობერტისათვის ჩემზე სულ არაფერი გითქვამს?!

ემა – ვუთხარი... იმიტომ, რომ სხვა გზა არ მქონდა! /პაუზა/

თითონ რომ გამომიტყდა, მეც გამოვუტყდი. თვალი არ მოგვიხუჭავს,

მთელი ღამე თეთრად გავათენეთ... შუადამისას ნედი წამოგვადგა თავზე ეტყობა ჩვენმა ლაპარაკმა გაადვილა... მის ოთახში ასვლა მომიხდა, დავაძინე და ისევ ქვევით ჩამოვედი... იცი...

ჯერი – ყველაფერი მოუყევი?

ემა – მომიწია

ჯერი – ჩემზე და შენზე... სულყველაფერი უთხარი?!

ემა – სხვა გზა არა მქონდა-მეთქი. /პაუზა/

ჯერი – კი, მაგრამ რობერტი ხომ ჩემი უახლოესი მეგობარია?! გთხოვ სწორად გამიგო... მისი პატარა ქალიშვილი ხელში მითამაშებია...

თქვენ სამზარეულოში ...ჯანდაბას ჩვენ სამზარეულოში... ის კი გვერდით მედგა და მიყურებდა.

ემა – ამას ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს? ყველაფერი წარსულს ჩაბარდა

ჯერი – რას ამბობ?! როგორ შეიძლება ეს წარსულს ჩაბარდეს?!

ემა – როგორ და ისე! ჩაბარდა და მორჩა! ყველაფერი მორჩა, დამთავრდა! /სვამს/.

1977 წელი

იგივე დღის საღამო

სურათი II

კაბინეტი ჯერის სახლში. 1977 წლის გაზაფხული.

ჯერი ზის; რობერტი, ჭიქით ხელში, დგას.

ჯერი – შენი დიდი მადლობელი ვარ, რომ შემომიარე

რობერტი – კარგი ერთი, რა სამადლობელი ვგაა

ჯერი – არა, არა, ვიცი, რომ შენთვის ადვილი არ იყო... მე ვიცი... ბავშვები ხომ ახლა...

რობერტი – ეგ არაფერი... მიხვდი, რომ ჩემი ნახვა ძალიან გექარებოდა.

ჯერი – ჰო... უკვე იპოვე ვინმე?

რობერტი – რას გულისხმობ?

ჯერი – ბავშვებს რომ მიხედოს.

რობერტი – ააა... არა უშავს, ყველაფერი მოგვარდება. თანაც, შარლოტას ბავშვი აღარ ეთქმის.

ჯერი – ეგეც მართალია /პაუზა/

ხომ არ დაჯდებოდი

რობერტი – ჰო, მართლაც... /პაუზა/

ჯერი – ჯუდიითი სავადმყოფოშია... ღამის მორიგეობაზე, ბავშვები ... ზემოთ არიან.

რობერტი – გასაგებია

ჯერი – შენთან სალაპარაკო მაქვს... მნიშვნელოვან საკითხზე

რობერტი – ვილაპარაკოთ.

ჯერი – ახლავე... /პაუზა/

რობერტი – რაღაც არ მომწონხარ /პაუზა/

ეგებ შენი და ემას გამო ხარ ასე? ა? /პაუზა/

ჰოდა იცოდე, რომ მე ყველაფერი ვიცი.

ჯერი – ვიცი ... უკვე მითხრეს.

რობერტი – ჰოო?! /პაუზა/ მომისმინე, ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს. ეგ ყველაფერი კარგა ხანია მოთავდა, ხომ ასეა?

ჯერი – არ მესმის, რატომ გითხრა ყველაფერი. არ მესმის, როგორ მოახერხა ამის პირიდან ამოშვება?! არ მესმის და მორჩა!... იცი, მე ვიცი თქვენს შორის რაც ხდება... დღეს შეეხვდი და... ბარში ვისხედით... ათასი წელია არ მინახავს... მომიყვა... აი, თქვენი უსიამოვნების შესახებ. ... ორივეზე მომიყვა... და ასე შემდეგ... ასე რომ, ყველაფერი ვიცი... ... და ძალიან გწუხვარ დამიჯერე!

რობერტი – რა გაწუხებს?

ჯერი – როგორ თუ – რა?! /პაუზა/ რაც მთავარია, უბრალოდ არ მესმის... რაში დაჭირდა... ამის თქმა რაში დაჭირდა?! ამდენი წელი გავიდა და უცებ... რატომღაც მაინცდამაინც წუხელ მოუნდა ამის თქმა...

რობერტი – რატომ – წუხელ?

ჯერი – ჩემთვის მაინც ეკითხა, ან გავეფრთხილებინე... ბოლოს და ბოლოს, მე და შენ ხომ...

რობერტი – ჰო, მაგრამ წუხელ ამ თემაზე არ გვილაპარაკია

ჯერი – როგორ... /პაუზა/ მომისმინე, ყველაფერი ვიცი, რაც წუხელ თქვენს შორის მოხდა, თვითონ მომიყვა, მთელი ღამე თეთრად გაგათენეთ, ასე არ იყო?

რობერტი – ჰო, მერე?

ჯერი – ჰოდა, ჩვენი ამბავიც მოუყოლია... აი, ჩვენ რომ ...

რობერტი – არა, გუშინ ამაზე საერთოდ არ გვილაპარაკია... ოთხი წლის წინ ვილაპარაკეთ. /პაუზა/ ასე, რომ, თავიდან ამაზე ლაპარაკს აზრ არ ჰქონდა. მე ხომ უკვე ვიცოდი... ჰოდა, იმანაც იცოდა, რომ ვიცოდი, იმიტომ რომ ყველაფერი თვითონვე მიაბო ოთხი წლის წინ. /ხანგრძლივი პაუზა/

ჯერი – როგორ ... რას ამბობ?!

რობერტი – მოდი, მართლა დაგვხედე, ასე აჯობებს. /ხედავს/ მე მეგონა იცოდი.

ჯერი – რა უნდა მცოდნოდა?

რობერტი – რომ მე ვიცოდი... რომ მე დიდი, ხანია ყველაფერი ვიცი. მეგონა შენ ეს იცოდი.

ჯერი – გეგონა, რომ ვიცოდი?!

რობერტი – არა... იმან კი მითხრა – არ იცისო, მაგრამ ... არ დავიჯერე. /პაუზა/

ჯერი – რა მითხარი – როდის მითხრაო?

რობერტი – უფრო სწორად, თვითონ გავიგე... ასე გამოვიდა... ვუთხარი, ვიცი მეთქი და მაშინ ... იმან უბრალოდ დამიდასტურა, ეგ იყო და ეგ.

ჯერი – როდის იყო?

რობერტი – მორჩი რა, ჯერი! რა ვიცი, ასი წელი გავიდა. /პაუზა/

ჯერი – კი, მაგრამ ... მე და შენ ხომ ვხვდებოდით... ძალიან ხშირად ვხვდებოდით ამ ბოლო ოთხი წლის მანძილზე... ერთად ვსადილობდით და რა ვიცი...

რობერტი – ჰო, მაგრამ... სკოლას აღარ ვთამაშობდით.

ჯერი – მე და შენ გადაბმული ძმაკაცები ვიყავით.

რობერტი – ჰო, ეგრეა. /ჯერი დაუინებოთ დააცქერდება, მერე თავს ხელებში ჩარგავს/ კარგი, მთლად ნუ მოიშლები ახლა... რა აზრი აქვს? /ხანგრძლივი პაუზა; ჯერი თავს აწევს/

ჯერი – მე რატომ არაფერი მითხარი? /პაუზა/

რობერტი – ვფიქრობდი, იცის-მეთქი

ჯერი – ფიქრობდი, მაგრამ დარწმუნებული არ იყავი... ხომ არ იყავი?! ასე რომ, გამოდის – ზუსტად არ იცოდი!

რობერტი – ჰო, ეგრე გამოდის.

ჯერი – ჰოდა, რატომ არ მითხარი?! /პაუზა/

რობერტი – რა უნდა მეთქვა?

ჯერი – რომ იცოდი!... ნამდვილი ჩათლახობაა და მეტი არაფერი

რობერტი – მოიცა, მოიცა, ჯერი ჩათლახი მე შენგან ნამდვილად არ მეთქმის!

ჯერი – ახლა რაღა ვქნათ?

რობერტი – რა უნდა ვქნათ? მე და შენ არც არაფერი არ უნდა ვქნათ. ჩემი ქორწინება კრახით დამთავრდა... ერთი-ორი ფორმალური მხარედა დარჩა, ბავშვებთან დაკავშირებით და მორჩა! /ხანგრძლივი პაუზა/

ჯერი – იმედი მაქვს, ჯუღითთან ამ თემაზე საუბარს არ აპირებ.

რობერტი – ჯუღითთან?! რა თემაზე... ააა, შენი და ემას ამბავზე? მოიცა, მოიცა... ესე იგი, შენ გგონია, რომ შენმა ცოლმა არაფერი არ იცის? და დარწმუნებული ხარ, რომ ნამდვილად არ იცის? /ხანგრძლივი პაუზა/ /რობერტი ზურგს უკან უდგას და ამ ტექსტზე ნელა-ყელში უჭერს/.

კარგი, კარგი დაწყნარდი... ყოველ შემთხვევაში, მე ნაღდად არ ვაპირებ არაფრის თქმას... იცი რას გეტყვი? მგონი, ბოლომდე ვერა ხვდები, რომ ეგ ყველაფერი ახლა სულ ცალ ფეხზე მკილია... არა, მართალია, ემას ერთ-ორი მოვცხე წუხელ... მაგრამ პრინციპის გამო და ზნეობრივი მოსაზრებით ნამდვილად არ მიქნია... უბრალოდ, დაუძლეველი სურვილი დამეუფლა, ცოტა თმებით მეთრია... კარგა ხანია ხელები მექავებოდა და... /რობერტი გონს მოდის, ხელს უშვებს/ ... ხომ გესმის ჩემი? /პაუზა/

ჯერი – მე და შენ, ერთ დროს ერთმანეთი ძლიან გვეძვირფასებოდა.

რობერტი – მგონი, არც არაფერი შეცვლილა... /პაუზა/ ამას წინათ კეისის გადავაწყდი, ახლა მგონი, მაგასა აქვს რომანი ჩემს ცოლთან. კარგა ხანია კეისისთან სკოლაში არ მითამაშია. ოდესღაც კი საკმაოდ კარგად გამოგვდიოდა, ეს ოხერი!

ჯერი – ცოტა გასივდა

რობერტი – მეც ვგრე მომეჩვენა.

ჯერი – საქმეებიც ჭაკადა აქვს.

რობერტი – ჰოლო?

ჯერი – არ მითხრა, ვერ ვატყობო!

რობერტი – რას ნიშნავს – „ჭაკად“?

ჯერი – მაგის წიგნებს ვგულისხმობ, შემოქმედებას.

რობერტი – ააა, წიგნებს და შემოქმედებას?

ჯერი – ისე, რა ვიცი... მაგის წიგნებზე ჯერაც ტაციობაა

რობერტი – ჰო, მკითხველი არ აკლია... ეგ ჩვენთვის ცუდი არაა – არც ჩემთვის და არც შეთვის.

ჯერი – ვგრეა /პაუზა/

რობერტი – და მაინც ჯერჯერობით, მეც და შენც, სწორედ კეისიზე ვაკეთებთ დიდ ფულს, არა?

ჯერი – საკმაოდ.

ეგ იქით იყოს /პაუზა/

რობერტი – ბოლო დროს კარგი რა წაიკითხე?

ჯერი – კარგი? იეიტსი

რობერტი – იეიტსი... ჰო, რა თქმა უნდა. იეიტსი /პაუზა/

ჯერი – შენ ერთხელ ტორჩელოზე კითხულობდი იეიტს.

რობერტი – ტორჩელოზე?

ჯერი – ჰო, აღარ გახსოვს? წლების წინ იყო. მარტო წახვედი ტორჩელოზე სისხამ დილით და... იქ იეიტს კითხულობდი.

რობერტი – ჰო, მართალია... ეგრე იყო. მერე გიყვებოდი კიდევ ამის შესახებ. /პაუზა/

კი, კი, მახსოვს...

/პაუზა/ ზაფხულში საით აპირებ ოჯახის წევრებს?

ჯერი – ალბათ, ტბებზე წავიყვან.

1975 წელი

სურათი III

ბინა. 1975 წლის ზამთარი.

ჯერი და ემა სხედან.

დუმილი.

ჯერი – ესე იგი, რას ვშვრებით? /პაუზა/

ემა – რა გითხრა... მე საერთოდ აღარ ვიცი რას ვშვრებით ან რას ვაპირებთ...

ჯერი – მმმ.../პაუზა/

ემა – ამ ბინას ვგულისხმობ.

ჯერი – მესმის.

ემა – ბოლოს როდის ვიყავით აქ, თუ გახსოვს?

ჯერი – ზაფხულში... არა?

ემა – მართლა? არ გადამრიო!

ჯერი – ვიცი, შენ აღბათ ფიქრობ, რომ...

ემა – სექტემბრის დასაწყისი იყო.

ჯერი – ჰოდა, მეც ეგ არა ვთქვი? სექტემბრის პირველ რიცხვებში ჯერ კიდევ ზაფხულია...

ემა – საშინლად ციოდა, ნამდვილი შემოდგომა იყო.

ჯერი – არც ახლა ცხელა

ემა – ახალი ელექტროლუმელის მოტანას ვაპირებდით

ჯერი – ჰო... როგორღაც თავი ვერ მოვაბი.

ემა – რა აზრი აქვს? აქ მაინც არ დავდივართ და...

ჯერი – რატომ, ახლა ხომ აქა ვართ?

ემა – ან ვართ და ან –არა! /ხანგრძლივი პაუზა/

ჯერი – კარგი, ბატონო, ვთქვათ ბევრი რამ შეიცვალა... შენ ისეთი დაკავებული იყავი შენი საქმეებით და რა ვიცი, კიდევ ათასი რამით...

ემა – რას იზამ? როდესაც მთელი გაღერვა შენზეა, უნდა მიხედო, იქ უნდა იყო.

ჯერი – აბა, როგორ უნდა შევხვდეთ?



ემა – იცი, ადრე ისეთი მოხერხებულები ვიყავით... რას აღარ ვიგონებდით... ისეც ყოფილა, რომ ჩვენი შესვედრა გამორიცხული იყო... მაგრამ ყოველთვის ვახერხებდით... ეს ბინაც იმიტომ ვიქირავეთ, რომ ერთად ყოფნა და ერთმანეთის ნახვა ძალიან გვინდოდა.

ჯერი – რა მნიშვნელობა აქვს ახლაც ძალიან გვინდა თუ ისე ძალიან აღარ გვინდა?! შენ მაინც საქმეებში ხარ გაბმული დღიდან-დღემდე და მე – სულაც ამერიკაში ვარ! /ხანგრძლივი პაუზა/ სადამოშობით კი ისედაც ვერასოდეს ვახერხებდით... მშვენივრად იცი, რომ ოჯახი მყავს.

ემა – სხვათა შორის, მეც მყავს! /პაუზა/

ჯერი – შეხსენება არა მჭირდება, ისედაც კარგად ვიცი... ალბათ, დაგავიწყდა, რომ შენი მეუღლე ჩემი მეგობარია.

ემა – მაგით რისი თქმა გინდა?

ჯერი – განსაკუთრებულის – არაფრის

ემა – არა, მაინც? ჩემი ქმარი რატომ ახსენე?

ჯერი – ღმერთო ჩემო! რაც გითხარი, იმის მეტი არაფრის თქმა არა მდომებია!

ემა – კარგი, კარგი... /პაუზა/

ნუთუ არ გაგიჟებს ის ამბავი, რომ ეს ბინა ... აი ასეა, გამოცარიელებული და გამოცივებული თვიდან თვემდე?!

ჯერი – ნუუ...

ემა – აი, ასეა, თავისთვის, საცოდავად, მიტოვებული... არავის არ ჭირდება არც დღისით და არც ღამით... ამას რომ წარმოვიდგენ, ძალიან მიმძიმს!... ყველა ნივთი მიტოვებულია – ჭურჭელი, ფარდები, თეთრეული... მოკლედ ყველაფერი... აი, ეს სუფრაც, რომელიც ვენეციიდან ვათრიე... /პაუზა/ მკვდარი სახლი.

ჯერი – ეს სახლი არაა...

/პაუზა/ ნამდვილი სახლი ორივეს ჩვენ-ჩვენი გვაქვს, სხვადასხვა ადგილას...  
თავის ფარდებით, თეთრეულით, ბავშვებით... თითოში – ორ-ორით... აქ კი  
ბავშვები არ არიან, ასე რომ...

ემა – განა ოდესმე გვიოცნებია, რომ აქაურობა იმ სახლებისათვის  
დაგვემსაგავსებინა? /პაუზა/ თუმცა, შენ აქაურობა სახლად საქრთოდაც არ  
მიგაჩნდა.

ჯერი – ჰო, ეს სახლი არაა, ეს – ბინაა!

ემა – ხავერა!

ჯერი – არა, ბინა, სადაც ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს!

ემა – ახლა, ეგეც უკვე ღმერთმა უწყის...

ჯერი – არა მგონია, სულ აღარ გვიყვარდეს /პაუზა/

ემა – მართლა? /პაუზა/

და ამას ყველაფერს რას უპირებ?

ჯერი – რა ყველაფერს?

ემა – ნივთებს /ხანგრძლივი პაუზა/

ჯერი – იცი რა, მაგის მოგვარება ძალიან ადვილია... უბრალოდ  
გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ.

ემა – ესე იგი, მისის ბენკსს უნდა მივყიდოთ... კაპიკებად... ის კი, მერე ავეჯით  
გაწყობილ, გამზადებულ ბინას გააქირავენ...

ჯერი – ჰო... ეს საწოლი აქ იყო, თუ გახსოვს?

ემა – აქ?

ჯერი – თუ არ ყოფილა?

ემა – ჩვენ ვიყიდეთ... ერთად წავედით საყიდლად. ყველაფერი ჩვენი შეძენილია

ჯერი – ჰო, მართალია /ემა დგება/

ემა – ესე იგი, მისის ბეკსთან შენ მოაგვარებ ყველაფერს...

/პაუზა/

აქედან არაფრის წადებას არ ვაპირებ... ვერც ვერსად მოვუძებნი ადგილს...  
შენც იცი, ჩემთან სახლში სუფრებიცა და ყველაფერიც...

ჯერი – კარგი, მე მივხედავ ყველაფერს; მისის ბენკს მოველაპარაკები... ალბათ  
რაღაც გროშებიც შეგვხვდება, ასე რომ...

ემა – არა, არა... დიდი მადლობა...

/ხანგრძლივი პაუზა/

კარგი წავალ აბა...

/ჯერი მობრუნდება და ემას მიაჩერდება/

უი, ჰო, გასაღები... /გასაღების შეკვრას ამოიღებს და ცდილობდა ერთ-ერთი  
გამოადროს/ ღმერთო ჩემო! /ვერ აძრობს; შეკვრას ჯერის მიუგდება/ ეგებ, შენ  
მოსხნა?

/ჯერი გადმოგდებაულ შეკვრას იჭერს და კვლავ ემის უყურებს/

მოსხენი გთხოვ!... ძალიან მეჩქარება, შარლოტას უნდა შევუარო სკოლაში და  
საყიდლებზე წავიყვანო.

/ჯერ გასაღებს მოხსნის/

ისე, თუ შენიშნე სწორედ დღისით მოვახერხეთ შეხვედრა, როცა დაგვჭირდა...  
ხუთშაბათობით გალერეა ადრე იხურება, ამიტომაც მოვახერხე გამოსვლა...  
ნაშუადღევს უკვე თავისუფალი ვარ ხოლმე... გასაღებებს არ მიბრუნებ/

/ჯერი შეკვრას გადასცემს/

გმადლობთ!... იცი, მგონი ყველაფერი სწორად გადავწყვიტეთ. /ემა მიდის;  
ჯერი უძრავად დგას/

1973 წელი

#### სართული IV

რობერტისა და ემას სახლი. სასტუმრო ოთახი. 1973 წლის შემოდგომა.  
რობერტი სასმელს უსხამს ჯერის და კარისკენ მიემართება.

რობერტი – ემა, ჯერი მოვიდა!

ემა ნედს აძინებს – ალბათ, საცაა წავა.

ჯერი – სად წავა?

რობერტი – სიზმრებში.

ჯერი – ააა... ჰო, მართლა, როგორ გძინავთ?

რობერტი – რას ნიშნავს, როგორ?

ჯერი – უწინდებურად გამოუძინებელი ხართ? ნედს ვგულისხმობ.

რობერტი – ააა, ნედი? არა, შენ წარმოიდგინე – არა უშავს. თანდათან ჭკვიანდება...

ჯერი – ბიჭები, მაგ თვალსაზრისით, უარესები არიან, ვიდრე გოგოები.

რობერტი – უარესები? მართლა?

ჯერი – ჰო, ბიჭები უფრო მტირალეები არიან.

რობერტი – და როგორ გგონია, რატომ უნად იყოს ეგრე?

ჯერი – რა ვიცი... ალბათ ბიჭებს უფრო მეტი საზრუნავი აქვთ.

რობერტი – ჩვილ ასაკშიც?

ჯერი – ჰო.

რობერტი – რა ჯანდაბაზე ზრუნავენ? რა აწუხებთ?

ჯერი – ეტყობა ... გარესამყაროსთან მოდიან კონფლიქტში... დედის საშოს რო ტოვებენ. ალბათ, ასეა.

რობერტი – გოგოები რა – არ ტოვებენ?

ჯერი – რა ვიცი, მაგრამ კაციშვილი არ დაფიქრებულა ამაზე სერიოზულად.

რობერტი – აი, მე მინდა ამაზე სერიოზულად დაფიქრდე.

ჯერი – მერე რა დასკვნამდე მიდიხარ?

რობერტი – მე შენ გეკითხები და შენგან ველი პასუხს.

ჯერი – და არ გიფიქრია, რომ ეს რადაცნაირად სქესობრივი სხვაობითაა გაპირობებული?

/პაუზა/

რობერტი – ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა! აუცილებლად ეს იქნება მიზეზი!

ემა, ჯერი მოვიდა!

ემა – ვინა, ვინა?

რობერტი – ჯერი!

ემა – ახლავე ჩამოვალ

რობერტი – ვისკი – ყინულით?

ჯერი – არა, ყინულით არ მინდა... ცოტა გაციებული ვარ და...

რობერტი – სხვა როგორა ხარ მაგ გაციებას რომ დაგანებოთ თავი?

ჯერი – არა მიშავს.

რობერტი – სკოლისათვის არ მომწიფდი? კაიხანია მე და შენ სკოლაში აღარ გვითამაშია...

ჯერი – ისე უკვე რამდენის მოიყარე?

რობერტი – ოცდათექვსმეტის... და რა იყო?

ჯერი – ესე იგი, მეც მაგდენის ვიქნები, არა?

რობერტი – მერე?

ჯერი – ჰოდა, სკოლისათვის ცოტა ხომ არ მოვბერდით?

რობერტი – დამირეკე აუცილებლად უნდა ვითამაშოთ

ჯერი – ვენეციაში კარგი იყო?

რობერტი – ვენეცია, ბატონებო? ვენეცია ზღაპარია! ყველაზე ლამაზი ქალაქი გახლავთ იტალიაში.

ვენეციაში, ერთადერთი, რა არ არის იცით?

ჯერი – რა?

რობერტი – Traffico

ჯერი – ისევ ისე მშვენივრად ლაპარაკობ იტალიურად?

რობერტი – მე? არა, რას ამბობ...

ჯერი – როგორ არა.

რობერტი – აგერია, მშვენივრად ემა ლაპარაკობს.

ჯერი – მართლა? არ ვიცოდი. მაშ, ვენეციაში კარგი იყო?

რობერტი – ტორჩელოზე ვიყავი...

ჯერი – ჰოო? მშვენიერი ადგილია.

რობერტი – საოცარი დღე იყო...

მთელ კუნძულზე კაცი არ ჭაჭანებდა ჩემს გარდა... შეიძლება ითქვას, რომ მთელი ჩვენი მოგზაურობის ნამდვილი აპოთეოზი ეგ იყო. ვიჯექი მოლზე და ეივტს ვკითხულობდი

ჯერი – ტორჩელო და ეიტესი? სად ცხოვრების სილაღე და სად მისტიკური პოეზია?

რობერტი – შენ წარმოიდგინე, მშვენივრად შეეხამა ერთმანეთს. მთელი დღე იქ ვიყავი... სულ მარტოდ მარტო.

ჯერი – ემა სად იყო?

რობერტი – ემა? ემა შენი მეგობრის რომანს კითხულობდა... აი, იმის, რა ჰქვია?

ჯერი – სპინქსი... იმ რომანს, შენ რომ არ მოგეწონა და გამოცემა არ მოინდომე... ემას მოეწონა?

რობერტი – სიგიჟემდე

ჯერი – სწორია

რობერტი – ეტყობა, შენც ძალიან მოგწონს.

ჯერი – ძალიან...

რობერტი – ხალხი ეტანება?

ჯერი – იცოცხლე

რობერტი – მომისმინე, ნეტა ეგ რას მოწმობს – რომ მე ზედმეტად მომთხოვნი გამომცემელი ვარ? თუ უბრალოდ, ბრიყვი?

ჯერი – ალბათ, ბრიყვი.

რობერტი – სწორია, ბრიყვი ვარ.

ჯერი – კარგი ერთი, რა სისულელეებს ამბობ? ვითომ. არ იცი, რომ შესანიშნავი გამომცემელი ხარ.

რობერტი – არა, საშინლად ცუდი გამომცემელი ვარ, იმიტომ რომ წიგნი არ მიყვარს... უფრო სწორად, პროზას ვერ ვიტან... უფრო ზუსტად კი – თანამედროვე, იაფასიანი რომანებს... შენ და ემას, იცი რა გაქვთ საერთო? ორივეს გიყვართ ლიტერატურა, უფრო სწორად – თანამედროვე რომანები, ახალახალი კეისების და სპინქსების აღმოჩენა გიყვართ... ამის გარეშე სუნთქვა არ შეგიძლიათ!

ჯერი – მეტის მეტი მოგდის, გეფიცები...

რობერტი – ნუთუ? როგორ გგონია, ემას ამის გარეშე სიცოცხლე შეუძლია?

ჯერი – აბა, მე რა ვიცი?! ემა შენი ცოლია და შენ უნდა იცოდე!

რობერტი – მართალია, სავსებით მართალი... შენთვის არ უნდა მეკითხა...

ასეთი რამ საერთოდ არავის არ უნდა ჰკითხო... ცოტასაც დაგლეგდი.

ჯერი – კი, ბატონო, დავლიოთ... თვითონ დავისხამ.

რობერტი – ნე გეწინება, გთხოვ! ...მომეცი ჭიქა... ახლავე აგიხსნი ყველაფერს... უბრალოდ, ლონდონში ადგილს ველარ ვპოულობ... ისეთი ბედნიერება ვიგრძენი, რომ... არა, ვენეციაში არა, ტორჩელოზე, როცა სულ მარტოდ მარტო დავრჩი, ნამდვილი ნეტარება იყო, წამოსვლა აღარ მინდოდა...

ჯერი – ჩვენ ყველა...

რობერტი – ჰო, რა თქმა უნდა, ჩვენ ყველა ვგრძნობთ ასეთ რაღაცას ზოგჯერ. ალბათ, შენც ვიგრძენია რაღაც ამდაგვარი, არა?... თუმცა, ცუდი თითქო არც არაფერი ხდება... მყავს ოჯახი, ემასთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს, უადრესად დიდი პატივს ვცემ... და... თუ გაინტერესებს, ეგ შენი სპინქსი და კეისიცი პირველი კლასის მწერლებად მიმაჩნია, მაგრამ

ჯერი – მართლა?

რობერტი – ჰო, შენ ძალიან მაგარი ხარ? რომ აღმოაჩინე

ჯერი – დიდი მადლობა

რობერტი – მართლა, მართლა, საოცარი ყნოსვა გაქვს... თანაც, სულ მუდმივად ახალს ეძებ... ამ უნარს ვაფასებ შენში; ემაც აფასებს.

/შემოდის ემა/

ემა – საღამო! თქვენი მობრძანება ფრიად სასიამოვნო მოულოდნელობაა:

ჯერი – ჰო, რა ვიცი... აქვე, კეისისთან ერთად ჩაის ვსვავდი და...

ემა – სადა?!

ჯერი – აქვე კუთხეში

ემა – მართლა? მე ვიცოდი, რომ სადღაც შორს ცხოვრობდა

რობერტი – ეეე, მთლად ჩამორჩი ცხოვრებას!



ემა – რატომ?

ჯერი – იმიტომ, რომ სიუზანა მიატოვა. ახლა მარტო ცხოვრობს, აქვე ახლოს, კუთხეში

ემა – ააა, გასაგებია

რობერტი – რომანს წერს კაცზე, რომელმაც ცოლი და სამი შვილი მიატოვა და ლონდონის სულ სხვა ბოლოში გადავიდა საცხოვრებლად, რათა დაეწერა რომანი კაცზე, რომელმაც ცოლი და სამი შვილი მიატოვა.

ემა – იმედია, ეგ ახალი რომანი წინაზე უკეთესი იქნება

რობერტი – წინაზე? ეგ რომელ წინაზე? ააა, ალბათ იმაზე, რომელიც იმ კაცზეა, რომელიც სადღაც შორს ცხოვრობს ცოლსა და სამ შვილთან ერთად და წერს რომანს კაცზე, რომელიც...

ჯერი - /ემას/ – ვითომ, იმ წინა რომანს რას უწუნებ?

ემა – მგონი, უკვე გითხარი, რასაც.

ჯერი – ჩემი აზრით, ეგ მისი საუკეთესო ოპუსია

ემა – შეიძლება საუკეთესო იყოს, მაგრამ ... მოკლედ, ეგეთი საშინელი სიყალბე ჩემ დღეში არ წამიკითხავს!

ჯერი –სიყალბე? რა თვალსაზრისით?

ემა – ამაზეც ვილაპარაკეთ უკვე

ჯერი – მართლა?

რობერტი – კი, კი... მეც მახსოვს. ამას წინათ ერთად ვსადილობდით, მაგრამ სად – ეგ აღარ მახსოვს... მე, შენ, ემა და ჯუდიტი ვიყავით. ჰოდა, ემამ ბრწყინვალე მოხსენება წავგიკითხა კეისის ნაწარმოებთა სიყალბეზე. ელვარე და ამაღელვებელი გამოსვლა იყო! სამწუხაროდ ჯუდიტს წასვლა მოუხდა, რადგან საავადმყოფოში აგვიანდებოდა, ღამის მორიგეობაზე... ჰო, მართლა, ჯუდიტი როგორაა?

ჯერი – რა უჭირს

/პაუზა/

რობერტი – სკვოში როდის ვითამაშოთ მე და შენ?

ჯერი – ჩემთვის მეტისმეტად ძლიერი მოწინააღმდეგე ხარ

რობერტი – სისულელეა, საერთოდ არა ვარ ძლიერი... უბრალოდ, შენზე კარგ ფორმაში ვარ ეგ არის და ეგ.

ჯერი – ვითომ რატომ? რატომ ხარ შენ ჩემზე უკეთეს ფორმაში, მაგალითად?

რობერტი – იმიტომ, რომ სკვოშს ვთამაშობ.

ჯერი – აჰ, მაგიტომ? ხშირად თამაშობ?

რობერტი – რა გითხრა...

ჯერი – ვის ვთამაშობ?

რობერტი – ჩვეულებრივ კეისის

ჯერი – კეისის?! ნუ გამაგიჟე! მერე, როგორ თამაშობს?

რობერტი – ძალიან პატიოსნად. ასე ვთქვათ, გულწრფელი მოთამაშეა. აი, ჩვენ კი – მე და შენ – საუკუნეა არ გვითამაშია. აუცილებლად უნდა ვითამაშოთ... არადა, მშვენიერი პარტნიორები ვიყავით.

ჯერი – ჰო, საკმაოდ კარგად ვთამაშობდი... შევთანხმდით, ამ დღეებში დაგირეკავ.

რობერტი – პარტიის შემდეგ კი სადილად დაგპატიჟებ

ემა – შეიძლება, რომ მეც შემიახსნანაგოთ?

/პაუზა/

რობერტი – იცი რა, სიმართლე გითხრა, ასე ვთქვათ, გულწრფელი რომ ვიყო, არც ერთს არა გვჭირდება ქალის იქ ყოფნა, არა ჯერი? იმიტომ, რომ სკვოში უბრალოდ თამაში კი არაა, რაღაც უფრო მეტია... ჯერ, რა თქმა უნდა, თამაშია,

მერე – შხაპი, მერე ერთი კათხა ლუდი, მერე – უკვე სადილი... იმიტომ, რომ ეს ყველაფერი დაიმსახურე... იბრძოლე და ახლა – დამსახურებული ლუდი და სადილი გინდა... და, სიმართლე რომ ითქვას, ქალი სულაც არ გინდა, მისი სიახლოვე არა გწადია, სათოფეზე რომ იყოს, ეგეც არაა სასურველი... იმიტომ, რომ სადილობისას გინდა მეგობარს სკვოშსა და კრიკეტზე ესაუბრო, ანდა თუნდაც წიგნებსა და ქალებზე ... გული გინდა იჯერო ლაპარაკით და სულაც არ გინდა იმის გეშინოდეს, რომ ვიღაც უდროო დროს ჩაგეჩრება და სიტყვას გაგაწყვეტინებს. აი, რაშია საქმე! არ მეთანხმები, ჯერი?

ჯერი – საუკუნეა სკვოში არ მითამაშია

/პაუზა/

რობერტი – ჰოდა, მოდი შემდეგ კვირას ვითამაშოთ

ჯერი – შემდეგ კვირას ვერ მოვახერხებ, ნიუ იორკში მივფრინავ

ემა – მიდისხარ?

ჯერი –ჰო, ერთ ჩემ გამოჩენილ მწერალთან ერთად

ემა – ვისთან/

რობერტი – კეისისთან, რა თქმა უნდა

ჯერი – იქ მაგის რომანის ეკრანიზირება გადაწყვიტეს; აი, იმას შენ რომ გულს გირევეს – ან ისინი უნდა ჩამოსულიყვნენ, ან ჩვენ უნდა წავსულიყავით. ჰოდა, კეისიმ გადაწყვიტა, რომ მოგზაურობა ნამდვილად დაიმსახურა.

ემა – და შენ?

ჯერი – რა – მე?

ემა – შენც დაიმსახურე?

რობერტი – ჯუღითი მიგყავთ?

ჯერი – არა, უბრალოდ, კეისი მარტო ვერ მიფრინავს. ასე, რომ, როცა დავბრუნდები, სკვოში მერე ვითამაშოთ. ერთ კვირაში დიდი-დიდი – 10 დღეში აქ ვიქნები.

რობერტი – ძალიან კარგი

ჯერი – /ემას/ აბა, ჯერჯერობით. გმადლობთ.

ჯერი და რობერტი გადიან; ემა გაუნძრევლად დგას. რობერტი ბრუნდება და კოცნის; ემა პასუხობს... მერე თავს მხარზე ადებს და უჩუმრად ცრემლები წასკდება. რობერტი ნაზად ეხვევა/

1973 წელი

სურათი V

სასტუმროს ნომერი. ვენეცია. 1973 წლის ზაფხული. ემა, წიგნით ხელში, წევს; რობერტი ფანჯარაში იყურება. ემა ქმარს წამით გახედავს და ისევ წიგნს მიუბრუნდება.

ემა – დღეს ტორჩელოს დღეა...

რობერტი – რაო?

ემა – დღეს ტორჩელოზე მივდივართ?

რობერტი – ჰო, დღეს.

ემა – /პაუზა/

რობერტი – კარგი წიგნია?

ემა – მმ?... კი!

რობერტი – ვისია?

ემა – ვინმე სპინქსის.

რობერტი – ააა, ეგ არის? ჰო, ჯერი მეუბნებოდა.

ემა – მართლა? მომეწონაო?

რობერტი – სპინქსი მაგის ნაშობია, მაგან მიაგნო.

ემა – სულაც ეგრეა? არ ვიცოდი.

რობერტი – /პაუზა/ შენი აზრით, როგორია?

ემა – რა ვიცი, მე მომწონს.

რობერტი – ჯერისაც მოსწონს. მთავაზობდა – გამოვცეთო.

ემა – მართლა?

რობერტი – მე კი უარი ვუთხარი.

ემა – რატომ? ეგ თემა ამოწურულია

რობერტი – ახალს ვერაფერს იტყვი...

ემა – მაინც, რა თემაა, შენი აზრით?

რობერტი – დალატი

ემა – მაგის მსგავსი არაფერია.

რობერტი – არა? აბა, რაზეა?

ემა – ჯერ ბოლომდე არ წამიკითხავს. დავასრულებ და გეტყვი.

რობერტი – კარგი, მერე მითხარი. /პაუზა/

სხვათაშორის, გუშინ „ამერიქენ ექსპრეს-ში“ შევიარე. /ემა წიგნს მოსწყდება და ქმარს შეახერხება/

ემა – მერე?

რობერტი – ტურისტული ჩეკები გაგანადდე. იქ უფრო მაღალი კურსია, ვიდრე აქ. სასტუმროში.

ემა – მართლა?

რობერტი – შენს სახელზე წერილი იყო მოსული. მკითხეს ნათესავი ხომ არა ხარო. ვუთხარი – ვარ-მეთქი. მაშინ შემომთავაზეს წაიღეო; უფრო სწორად, მომცეს წერილი, მაგრამ არ წამოვიღე... დაიტოვეთ – მეთქი, ვუთხარი... მიაკითხე?

ემა – კი.

რობერტი – /პაუზა/

მართალი გითხრა, გაგოგნდი, როცა მითხრეს წაიღეო. ინგლისში ასეთი რამ წარმოუდგენელია. ეს იტალიელები... გაგაგიჟებენ პირდაპირ! ერთი გვარი რომ გვაქვს, ეგ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ცოლ-ქმარი ვართ... ხომ შეიძლებოდა... აღმოჩენილიყო, რომ ჩვენ ერთმანეთისათვის სრულიად უცნობი ვართ?! ახლა წარმოიდგინე, რომ ამელო ის წერილი, გამეხსნა და... უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო წამეკითხა, მერე ნაგვის ყუთში ჩამეგდო... მაშინ ხომ შენამდე ვერასოდეს მოაღწევდა... ადამიანს ართმევენ კანონიერ უფლებას თავად გახსნას საკუთარი კორესპოდენცია... და ეს ყველაფერი ვენეციური ფეხებზე მიდიაობისა და ქარაფშუტობის გამო! არა, მე სერიოზულად ვფიქრობ, რომ ამის შესახებ ვენეციის მთავარ მაგისტრატს მივწერო.

/პაუზა/

კაცმა რომ თქვას, წერილი სწორედ იმიტომ არ წამოვიღე რომ ჩემს ადგილას, შესაძლოა, სრულიად უცხო ადამიანი ყოფილიყო...

/პაუზა/

იმათ ხომ არ იცოდნენ, ანდა საიდან ეცოდინებოდათ, რომ შენი ქმარი ვარ

ემა – რა სიგიჟეა!...

რობერტი – ჰო, მარტო აქ თუ მოუვათ თავში ასეთი გიჟური აზრი...

/პაუზა/

ემა – ჯერის წერილია

რობერტი – ვიცი, ხელი ვიცანი

/პაუზა/

როგორა ვარო?

ემა – კარგად

/პაუზა/

რობერტი – პირველად რომ წაგიყვანე, პირდაპირ მოგეწონა ეს ადგილი. მოიცა, როდის იყო... ათი წლის წინ, ალბათ... მგონი, ქორწინებიდან 6 თვის თავზე... ჰო, გახსოვს? საინტერესოა, ხვალაც თუ მოგეწონება.

/პაუზა/

ემა – /ემას მოწვევით ჩაეცინება/

რობერტი – რატომ გაკანკალებს? ხომ არ გცივა?

ემა – არა.

რობერტი – ერთ დროს მეც წერდა ხოლმე. უგრძესი წერილები იყო, ფორდ მელოქს ფორდზე! მეც ვწერდი, შენ წარმოიდგინე, უგრძეს წერილებს... ალბათ, იეიტსზე. მაშინ ორივე პოეტური ჟურნალების რედაქტორები ვიყავით. ის კემბრიჯში, მე ოქსფორდში... იცი ეგ ამბავი? ძალიან ნიჭიერი და იმედის მომცემი ბიჭები ვიყავით... თანაც გადაბმული ძმაცაცები... ახლაც ვმეგობრობთ, რა თქმა უნდა ... ეს ყველაფერი ბევრად ადრე დაიწყო, ვიდრე მე და შენ შევხვდებოდით ... სხვათა შორის, სულ მინდა გავიხსენო და ვერ ვიხსენებ როდის გაგაცანიო ერთმანეთს. მომკალი და არ მახსოვს!... ეგებ შენ გახსოვს?

ემა – არა

რობერტი – სულ არ გახსოვს?

ემა – არა.

რობერტი – უცნაურია.

/პაუზა/

ნეტა ჩვენი მეჯვარე ეგ ხომ არ იყო?

ემა – მშვენივრად გახსოვს, რომ იყო.

რობერტი – ჰო, სწორია. მაშინ გაგაცანი, ალბათ.

/პაუზა/

ჩემთვის გადმოსაცემად არაფერს გწერს?

/პაუზა/

ვინმე ახალი და ორიგინალური ტალანტი ხომ არ აღმოუჩენია?

ემა – შენთვის არაფერია

რობერტი – ჩემთვის არაფერია... ეჰ, სულ აღარ ვუყვარვარ.

ემა – ახლა მე ვუყვარვარ და მეც მიყვარს.

რობერტი – გასაგებია... ეგრეც ვიცოდი... რაღაც მაგდაგვარი ეჭვი მჭამდა.

ემა – როდიდან?

რობერტი – რა – როდიდან?

ემა – როდიდან გჭამდა?

რობერტი – გუშინდლიდან. მხოლოდ გუშინდა ვიფიქრე, რომ... აი, როცა მისი ხელი ვიცანი კონვერტზე...

ემა – გასაგებია

/პაუზა/

ძალიან ვწუხვარ

რობერტი – რა გაწუხებს?

/ხანგრძლივი პაუზა/

და როგორ ... ახერხებთ? ხუმრობა საქმე ხომ არ არის – შენ 2 შვილი გყავს, იმას – ორი შვილი და ...ცოლი.

ემა – ბინა გვაქვს.

რობერტი – კარგია...



/პაუზა/

ააა, მაშ, ბინაც გაქვთ... მოკლედ, თქვენი რომანი სოლიდურადაა მოწყობილი.

ემა – ჰო

რობერტი – დიდი ხანია?

ემა – საკმაოდ.

რობერტი – უფრო ზუსტად?

ემა – ხუთი წელია.

რობერტი – ხუთი?

/პაუზა/

ნედი ერთი წლისაა...

/პაუზა/

ემა – ნუ გეშინია, ნედი შენი შვილია. მაშინ ჯერი ამერიკაში იყო, 2 თვით.

რობერტი – რომ გაიგო, ალბათ გაუხარდა, რომ... მამა მე ვარ.../პაუზა/

ჯერი ყოველთვის მომწონდა. მართალი გითხრა, შენზე უფრო ჯერი მომწონდა... ალბათ, ჯობდა მე თვითონ გამეზო მასთან რომანი...

/ხანგრძლივი პაუზა/

მომისმინე, დარწმუნებული ხარ, რომ ტორჩელოზე წასვლა ძალიან გინდა?

1971 წელი

სურათი VI

ბინა

ემა ჯერის დაინახავს, კალათს წამოაგლებს ხელს და მისკენ გაიქცევა.

ემა – ჩემო სიცოცხლე!

ჯერი – ჩემო საყვარელო!

ემა – ჩემო სიცოცხლე, ჩემო სიხარულო, როგორ მომენატრე, რომ იცოდე!  
როგორ მომენატრე!

ჯერი – მეც ძალიან მომენატრე, ძალიან!

ემა – სულ მენატრები, ახლაც მენატრები, როგორ მენატრები!

ჯერი – ჩემო ღამაზო!

ემა – როგორ მიყვარხარ, როგორ!... მოიცა, მოიცა!... როგორ გამოვიყურები?

ჯერი – ზღაპრულად!... ეს რა არის? /სუფრაზე/

ემა – მოიცა... /სუფრას იღებს და თავზე აფარებს/

ეს სუფრა ვენეციაში ვიყიდე, ძალიან დიდი ხნის წინ... მაშინ ახალი  
გათხოვილი ვიყავი და ასეთი რამეების ყიდვა ძალიან მესალისებოდა...

ჯერი – მერე?

ემა – მერე... სახლში აღარ გადავაფარე და... აქ მოვიტანე, ჩვენს სახლში!...  
მოგწონს?

ჯერი – ვგიჟდები!

ემა – როგორ გგონია, მე და შენ, ოდესმე, შეეძლებთ ვენეციაში ერთად  
წასვლას?... ალბათ, ვერა, არა?

ჯერი – დილით რობერტს ველაპარაკე

ემა – მერე?

ჯერი – ხუთშაბათს სადილად დაგვატიუე

ემა – რასთან დაკავშირებით?

ჯერი – ჩემი ჯერია

ემა – არ მესმის, რატომ უნდა ეპატიუებოდე შენ რობერტს სადილად...

ჯერი – იმიტომ, რომ ჩემი ჯერია–მეთქი... ამის წინ – იმან დამპატიუა  
ემა – მშვენივრად მიხვდი, რაც ვიგულისხმე! მაგ სადილის მიღმა  
ყოველთვის რაღაც დგას

ჯერი – რა უნდა, იდგეს?! ათასი წელია ერთმანეთს ვეპატიუებით... ხან ის,  
ხან – მე.

ემა – არა, თქვენ ისე, უბრალოდ არასოდეს არ ხვდებით ერთმანეთს...

ან რომელსამე მწერალზე ლაპარაკობთ, ან – სკოლის მერე – ქალებსა და  
ნათამაშებ პარტიაზე... პოდა, საყვარელო, მაგ შეხვედრების მიღმა მუდამ  
რაღაც იმალება.

ჯერი – გამოდის, რომ ამ სადილის მიღმა არაფერი არ იმალება. იმიტომ,  
რომ სკოლის თამაშს ნამდვილად არ ვაპირებ... ქალებზე ლაპარაკს ხომ –  
მითუმეტეს!

ემა – გუშინ ჯუდითი შემხვდა ... გითხრა?

ჯერი – არა, სად?

ემა – სადილზე, კაფე „ფორტნუმ და მეისონში“...

ჯერი – იქ რა ჯანდაბა უნდოდა?

ემა – ვიღაც ქალთან ერთად იყო

ჯერი – ქალთან?

ემა – ჰო

ჯერი – მაგის სავადმყოფოდან ეგ კაფე არც ისე ახლოსაა...

ემა – მაგრამ, არც ისე შორს

ჯერი – ჰო, ალბათ... და შენ?

ემა – რა–მე?

ჯერი – შენ რაღა გინდოდა იქ?

ემა – ჩემ დასთან ერთად ვსადილობდი

ჯერი – ააა

ემა – მაშ, ჯუდიტმა არაფერი გითხრა?

ჯერი – ხეირიანად არც მინახავს. წუხელ გვიან მივედი, კეისისთან ერთად ვიყავი... დღეს კი – ის წავიდა უთენია

ემა – ზოგჯერ... ზოგჯერ არ გეჩვენება, რომ რაღაც იცის?

ჯერი – რა?

ემა – აი, ჩვენი ამბავი

ჯერი – ძალიან დაკავებულია – სავადმყოფო, ბავშვები... ფიქრის დროც არა აქვს

ემა – თუ ასეა, ძალიანაც კარგი

ჯერი – ერთი თაყვანისმცელი ჰყავს

ემა – მართლა?

ჯერი – ისიც ექიმი. ზოგჯერ კაფეში დადიან... ეგ ამბავი ნერვებს მიშლის... უფრო სწორედ, მეუბნება, რომ სხვა არაფერიაო. უბრალოდ ერთმანეთის მიმართ კარგადა ვართ განწყობილებიო არ ვიცი ეგეთები... აი, სწორედ ეგ მიშლის ნერვებს, ზუსტად არ ვიცი რა ხდება.

ემა – ისე, რატომაც არ უნდა ჰყავდეს თაყვანისმცემელი? აი, მე ხომ მყავს

ჯერი – ვინ?

ემა – როგორ თუ ვინ?! შენ, რა თქმა უნდა

ჯერი – ჰოლო... მე თაყვანისმცემელზე მეტი ვარ... როგორ ფიქრობ, ხუთშაბათს, თუ როცა იქნება, რობერტთან ერთად არ უნდა ვისადილო?

ემა – რატომ მეკითხები?

ჯერი – თუ ჯობია საერთოდაც აღარ ვნახოთ ერთმანეთი?

ემა – მე ეგ არ მითქვამს...

ჯერი – როდის იყო? ... ალბათ, რამდენიმე წლის წინ... შობა იყო, თუ რაღაც მაგდაგვარი ... არ გახსოვს? ყველა ერთად ვიყავით, თქვენს სამზარეულოში... ბავშვები ფეხებში გვედებოდნენ...

მე შარლოტა ავიტაცე და რამდენჯერმე მაღლა შევაგდე... გახსოვს, როგორ კისკისებდა?

ემა – ყველა კისკისებდით

ჯერი – ბუმბულივით იყო... ყველა ერთად ვიყავით თქვენს სამზარეულოში – შენი ქმარი, ჩემი ცოლი და ჩვენი შვილები...

ემა – ისე, სიმართლე თუ გინდა, ეგ თქვენს სამზარეულოში იყო... ვთქვათ, შეაგდე კიდევ შარლოტა მაღლა, რა მოხდა მერე? /არაყს ისხამს/ მითხარი, ცხოვრების შეცვლაზე არასოდეს გიფიქრია?

ჯერი – არაყი?! დღისით?

ემა – ჰო, მომინდა რაღაც... მაშ, არ გიფიქრია?

ჯერი – ცხოვრების შეცვლაზე?

ემა – ჰო, რა იყო?

ჯერი – ეგ შეუძლებელია

ემა – როგორ გგონია, ჯუდითს შენთვის არასოდეს უღალატია?

ჯერი – არა... არ ვიცი

ემა – აი, მაგალითად ახლა, როცა ამერიკაში იყავი

ჯერი – არა

ემა – და შენ?

ჯერი – ვისთვის?

ემა – ჩემთვის, რა თქმა უნდა

ჯერი – არა... და შენ?

ემა – არა... და რომ ელაღაბა, რას იზამდი?

ჯერი – ეგ მაგის სტილი არაა, დაკავებული ქალია, ათასი საქმე აყრია თავზე. ძალიან კარგი ექიმია... არაფერი აკლია...ბავშვები უყვარს.

ემა – ნუთუ?

ჯერი – მეც ვუყვარვარ

ემა – ნუთუ?

ჯერი – ეს ლიტონი სიტყვები არაა

ემა – ცხადია

ჯერი – მე კიდევ, შენზე ვგიჟდები... ვგიჟდები!

ემა – ვიცი... მომისმინე, რაღაც უნდა გითხრა

ჯერი – რა?

ემა – ფეხბიძეა ვარ

ჯერი – რაო?

ემა – ფეხბიძეა ვარ... ამერიკაში რომ იყავი, მაშინ გავიგე... არა, ცუდი არაფერი იფიქრო, ჩემი ქმრისგანაა

ჯერი – ჰოლო... ჰო, გასაგებია... გილოცავ... და ძალიან მიხარია...

1968 წელი

სურათი IX

რობერტის და ემას სახლი. საძინებელი ოთახი. 1968 წლის ზამთარი. ოთახში თითქმის ბნელა. კუთხეში მიყუჟული ჯერის ფიგურა ბუნდოვნად მოჩანს. კარს მიღმა ყრუდ ისმის მუსიკა.

კარი იღება და ოთახში შუქისა და მუსიკის ნაკადი იღვრება. შემოდის ემა. კარს მიხურავს, სარკისაკენ გაემართება და გზად ჯერის დაინახავს.

ემა – ვაიმე!

ჯერი – შენ გელოდებოდი.

ემა – აქ? რატომ?

ჯერი – ვიცოდი, რომ შემოსვიდოდი.

/სვამს/

ემა – თმის გადავარცხნა მომინდა. /ჯერი ღებება/

ჯერი – ეგეც გამოვთვალე. ვიცოდი, რომ მოგინდებოდა.

/ემა სარკეს მიუახლოვდება, თმას ივარცხნის; ჯერი უყურებს/

უმშვენერესი დიასახლისი ხარ!

ემა – დღეს, მართლაც კარგია ჩვენთან, არა?

ჯერი – ძალიან ძალიან ღამაზი!

/უახლოვდება/

მომისმინე! მთელი საღამოა თვალს ვერ გაშორებ... უნდა გითხრა, მინდა რომ გითხრა, ვაღდებული ვარ გითხრა!...

ემა – არ გინდა, ჯერი...

ჯერი – ზღაპრული ქალი ხარ!

ემა – შენ კიდევ, მთვრალი კაცი ხარ.

ჯერი – მაგას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს

/ემას მხრებზე მოეხვევა/

ემა – ჯერი!

ჯერი – მე მეჯვარე ვიყავი შენს ქორწილზე, თეთრ კაბაში გნახე...

თეთრებში მიცურავდი, გედივით!

ემა – თეთრი კაბა არ მცმია.

ჯერი – იცი, რა უნდა მოხდარიყო?

ემა – რა?

ჯერი – მაშინ უნდა ვყოფილიყავი შენთან! ქორწილამდე უნდა ყოფილიყავი ჩემი! თავით ფეხამდე უნდა ამომეთხვარე თეთრი, საქორწინოდ გამზადებული... და მერე – შენ პატარძალი, მე შენი მეჯვარე!

ემა – ნეფის მეჯვარე, შენი უახლოესი მეგობრის!

ჯერი – არა, შენი მეჯვარე!

ემა – უნდა გავიდე...

ჯერი – ვგიჟდები შენზე! ისეთ სიტყვებს გეუბნები, არავის რომ არ უთქვამს ქვეყნად! ნუთუ ვერ ხვდები ვგიჟდები – მეთქი!... რაღაც ქარიშხალი დამატყდა თავს, ნამდვილი ტაიფუნი, ცუნამი, ტორნადო... ქარბორბალა! უდაბნოში ყოფილხარ ოდესმე?... მომისმინე, ... მომისმინე! მთლად შენით ვარ გაუღენთილი... მეტი აღარ შემიძლია ნამდვილი გრძნეული ხარ

ემა – ჩვეულებრივი...

ჯერი – მთლად მომაჯადოვე!... ნახე, როგორ მიყურებ!

ემა – მე, მე... სულაც არ გიყურებ!

ჯერი – არა, ნახე, როგორ მიყურებ! სულ მაჟრჟოლებს! ... ჭკუაზე აღარა ვარ, ნებელობა დაგეარგე!... დავბრმავდი, შენით ვარ დაბრმავებული, ჩემო სიცოცხლე და თვალის ჩინო! საერთოდ აღარ მძინავს... იცი, ეგ რა არის? საშინელებაა, ნამდვილი კატასტროფა! მიყვარხარ, გესმის?!



ემა – კარს მიღმა ჩემი ქმარია!

ჯერი – ვიცით, ყველამ ვიცით, ქვეყანამ იცის!... სინამდვილეში კი არავინ არაფერი იცის და ვერც გაიგებს! ისინი, ყველა, სხვა განზომილებაში არსებობენ... ვგიჟდები შენზე! სიცოცხლე აღარ მინდა, ისე მიყვარხარ! ახლა ვინც რა უნდა თქვას, ყველაფერი მონაჩმახი და ტყუილი იქნება, მტკნარი სიცრუე, არავისი აღარ მჯერა, იმიტომ რომ არავინ არ იცის... არაფერი არ იცის... რასაც ახლა ვგრძნობ!... სიმართლე მხოლოდ ისაა, რომ შენი თვალები მომიღებენ ბოლოს! ღმერთო, რა მშვენიერი ხარ!

ემა – არა!...

ჯერი – ჰო!

/კონცის. ქალი ცდილობს დაუსხლტეს; კაცი ისევ კონცის. კარს მიღმა ხმამაღალი სიცილი გაისმება. ქალი გამოებრდღვნება. კარი იღება და იქ რობერტი დგას/

ემა – შენი მეგობარი ... ძალიან მთვრალია!

ჯერი – რადგან შენ ჩემი ძველი და უახლოესი ძმაცაი ხარ... თანაც-მასპინძელი, გადავწყვიტე აღარ დავახანო და პირში ვუთხრა შენს მეუღლეს, რომ არაჩვეულებრივი ქალბატონი ბრძანდება!

რობერტი – გიდასტურებ.

ჯერი – მიდასტურებ, აბა რა... სიმართლეს თვალებში უნდა შეხედო, არ უნდა გრცხვენოდეს რაღაცის აღიარება, თუკი გულით ამბობ ამ რაღაცას... ყველაფრის თქმა შეიძლება, თუკი სიმართლეა, და ვერავინ აგიკრძალავს ამას...

რობერტი – რა თქმა უნდა.

ჯერი – ცხოვრება ხოშიანად ააწყე! რა ჯობია, როცა ისეთი მზეთუნახავი გყავს გვერდით?!

რობერტი – არც არაფერი.

/ჯერი რობერტს მიუახლოვდება და ხელს გაუყრის/

ჯერი – როგორც შენი სიყრმის მეგობარი და მეჯვარე, ისე გეუბნები ამას.

რობერტი – მესმის, მესმის.

/გაგებით მოუთათუნებს მეგობარს მხარზე, სწრაფად შეტრიალდება და ოთახიდან გავა.

ემა კარისაკენ გაემართება. ჯერი ხელს დაუჭერს და დააკავებს. დგანან და ერთმანეთს თვალებში უყურებენ/.

